

1887

№ 6-7 = 1576

12/17/1905  
1705

# თეატრი

სამოველ-კვირამ. სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა

№ 6 და 7

თეატრის 15.

გაზეთი დირს: ერთის წლ. 5 მ., ხახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. სელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანცლარაში, ფოთში ბესარ, კალანდაძესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: ТИФ-ЛИСЬ, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ "ТЕАТРЪ." გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან: ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-მანერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საქიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შესწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

უოველი წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

„თეატრის“ მეოთხე ნუმერში იყო დაბეჭდილი, რომ ამ ცოტას ხანში აკაკის იუბილეის გამართვას აზირობენო... ესლა ნამდვილად ვიცით, რომ ეს ფრიად სანუგარო საქმე მაისამდის არ მოხერხდება.

## ცხოვრების აღწერა.

(ბიოგრაფია)

აკაკი წერეთელი დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელს სახსერეში, 1841 წელს, თბათვის მ-ს. ხუთ წლამდე იზღებოდა ბაისთან სოფ. სვანეს. მის საზოგადოებას შეადგენდნენ სოფლის მატარა მწყემსი—ბიჭები და ისიც არ ერჩეოდა მათში. მერე მოიყვანეს სასახლეში დედ-მამასთან. დედა აკაკისა იყო ქალი

დიდი ივანე აბაშიძისა, რომელიც ახალ ციხეში მოკლეს თეოფილ-ქტეს დროს. გურიის მთავრის მიმია გურიელის დის-წული და დარეჟან ბატონიშვილის შვილის-შვილი, როგორც სასახლეში სამეოფი და გამოზდილი ქალი ერთ შესანიშნავ ქალთაგანი იყო იმ დროში და თვითონ იტვირთა თავისი ბატონი შვილის აკაკის აღზრდა. აკაკის ჟურ ბერად ამსადგებდნენ; ოთხი წლის განმავლობაში საღმრთო წერილი დასწრულუბინეს. აკაკის ბერობა აუცილებელი იყო, რომ ერთს უბრადო შემთხვევას სხვა გვარად არ გადაეწვიტა მისი ბედი: ერთხელ ბლას სითგან ჩამოვარდა და ისე ძრიელ იღრძო ფეხი, რომ მუსლს კედარ მართავდა და მამამ ქუთაისში წაიყვანა საექიმოდ.

მამა აკაკისა, თავადი რაესტომ წერეთელი, „თავად-აზნაურობის გასარჩევ კრებაში“ დეპუტატად იყო ამორჩეული, და თითქმის ყოველ დღე დადიოდა სამსახურში. შვილი რომ მარტო არ დაჩნენილიყო სასლში, სკოლაში ჭგზავნიდა სოღმე დროებით. აქ, აკაკიმ ნიჭი გამოიჩინა. მასწავლებლებმა უურადღება მიაქციეს და უჩნეს იმის მამას, რომ სასწავლებელითგან აღარ გაეყვანა. მამას მოეწონა ეს რჩევა და 1851 წელს მიაბარა ქუთაისის სასწავლებელში. შვიდი წლის შემდეგ გამოვიდა გემნაზიითგან და გავზავნეს რუსეთს, რომ შესულიყო ბადრაგად (კონკოიში), სადაც იმის უფროსი ძმა მსახურობდა.

აკაკი მივიდა პეტერბურს და სამსახურის მაგიერ უნივერსიტეტში შევიდა. 1862 წელს გამოვიდა უნივერსიტეტიდან და შეუდგა საზოგადო სამსახურს.

ლექსების წერა დაიწყო გემნაზიაშივე. ზირველი ლექსი „მან-დელი“ დაწერა ცამეტის წლისამ. აი ის ლექსი:

„გაბრწეინდი ჩემო კანდელო  
 „მინათლე ბნელი დამისა.  
 „გაბრწეინდი—რადგან დაგიჩნა  
 „სინათლე მტირე ჟამისა.

—  
 „ჩემი სიცოცხლეც შენსავით  
 „იწვის და თანდითან სდნება,



„წარსული აღარას მარჯებს  
 „მომავალი—მენანება.“

„და მას შენ ჩემო სიცოცხლე  
 „რადგან მშორდები სვალისად,  
 „დღეის დღე მინც მასარე,  
 „რომ დრო ვატარო სვალისად.“

ამავე წელში დაუწერია სტენები „ბატონ-ყმობა,“ რომელიც იმ დროში სელიდგან სელში თურმე გადადიოდნენ, მაგრამ კი არ დაბეჭდილა. შინაარსი ამ სტენებისა მებატონეებისათვის ძლიერ საწყენი ყოფილა მაგრამ ლექსი ისე ოსუნჯურად იყო დაწერილი, რომ ყველანი სიამოვნებით კითხულობდნენ. ამ ლექსებს მოჰყვა სხვა მრავალი წერილი ლექსები. ზოგი მათგანი დაბეჭდილიც იყო, მაგრამ ასაღ-გასდა ავტორი თავის სახელს არ ანსადებდა. აკაკის სახელით ჰინოვებდა დაიბეჭდა „საიდუმლო ბარათი,“ რომელსაც ხალხი აღტაცებაში მოჰყვანდა და შემდეგ სასალხო ლექსად გარდაიქცა..

აკაკი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ბევრთად ადგია ერთსეულ არჩეულ გზას და არც ერთსეულ არ გადაუხვია მას, თუმცა ბევრი გაჭირვება და სელის შემძლევი გარემოება გადალბებია წინ. აკაკის საზოგადო მოღვაწეობა მარტო მწერლობით არ დაფასდება: იმ დღიდან აქამომდე არც ერთი საზოგადო საქმე არ ყოფილა ჩვენს ცხოვრებაში, რომ უფურადღებოდ დაეგდოს. როგორც სიტყვით, ისე საქმით ერთი თავ განწინრულ მოღვაწეთაგანია.

გაკვივონია რომ „აკაკი“ ადრე საქართველოში არავის არ რქმევია და ესლა ეს სახელი გასშირებულა იმერეთში—განსაკუთრებით დაბალ ხალხში.

აკაკი ხალხს მიაჩნია ერთ უკეთეს მჭევრ—მეტყველად და არც ერთ მის ნათქვამს უფურადღებოდ არ უშეკებს...

სამწუხაროა, რომ ნაწერები ასეთი საყვარელი პოეტისა აქა—იქ გაფანტულია და აქამდე არ გამოცემულა ცალკე წიგნებად.



## შავილს ზამთარმა უსწრო

(სურათი.)

(გაგრძელება).

— ოო, ოო, ლევან მობძანებულხართ! ღიმილით მი-  
თხრა იმან, როდესაც მე კიბეზედ აველ; ხომ არ სჯავრობთ  
რომ ნინოს ქორწილში არ დაგპატიყეთ? მე მეგონა რომ  
თქვენ სრულებით ინებეთ ქალაქში გადასახლება.

— ჰორწილში... სიტყვა ველარ გავათავე... რა ნება მქონ-  
და მე საყვედურისა? მაგრამ გულმა ვერ მომიტმინა და მაინც  
დაუმატე: რათ მიეცით ტაბ—ძეს ნინო?

— ნულარ მკითხავ, მამი-თქვენის საფლავის მზეს...

მწუხარებით საესე ხმით გამაწყვეტინა ბრიგოლმა და  
საჩქაროდ შინ შემიწვია: ღარეჯანი ნახეთ, საწყალი ავად არის.

ბრძელი და ვიწრო სასტუმრო უხმარაძიანთი სადღე-  
სასწაულოდ იყო მორთული, ოთახის ბოლოში განელებული  
ბუხრის წინ იჯდა შალეებში გახვეული, ორად მოკუნტული  
თავადის ბრიგოლის მეუღლე ღარეჯანი.

მე მიწოდდა იმისთვის მიმელოცნა ქალის გაბედნიერება,  
მაგრამ ენა სასას მიეკრა, ხმა სიტყვებს არ დანებდა; მე მხო-  
ლოდ ხელი მაგრა ჩამოვართვი და მილოცვის მაგიერად მწუ-  
ხარებით ვუთხარ: ნინო, საბრალო ნინო, ვის მიეცით, ვის,  
თქვენი ნინო?

— ვის მიეცეი მე ნინო, ვის? მდულარებით მიპასუხა ღა-  
რეჯანმა. მე მაგ კითხვას ვაძლევ ჩემ თავს აგერ ორი კვირაა  
და პასუხს ვერ ვპოულობ... ნინომ თავი გაიწირა დედ-მამი-  
სათვის... ნინომ დედ-მამა დაისხნა სიმშლით სიკვდილისა-  
გან... მოსთქმიდა გულის კენესით ღარეჯანი. მაგრამ ვაი ამ  
დასხნას! ვაი ამ სიცოცხლეს! ვაი მშობლის იმედებო, დედა-  
მიწასთან განადგურებულნო! ნინოს მომავალი გულს მი-  
კლავს, გონებას მირყევს.

— რა იყო, რა მოხდა ამ სამ თვეში, რაც მე აქედგან წა-  
ველ? ჩავეკითხე ღარეჯანს და აი პასუხად რა მივიღე:

ზრიგოლს თქვენ ხომ კარგად იცნობთ! ის არის კეთილი, ალალი და გულ მინდობილი ყველა ადამიანზედ. იმას დღემდინ არ სჯეროდა, რომ კაცი გაჰყიდა იმის მინდობილებას, თუ სიკეთისათვის სიავეს დაუბრუნებდა და თავის გულ კეთილობით თავი დაიღუპა. შარშან პეტრე ტუცნაძეს თავდები გაუხდა, თითქმის საპყრობილიდგან დაისხნა: ორას თუმანზე ხელი მოუწერა.

წლის თავზე ტუცნაძე სადღაც მიიღუპა, ორასი თუმანი თავის ჯარიმით სამასად იქცა და მარქარიანცმა ჩვენი მამულები სულ ააწერინა რაც-კი სულს აქეთ გეგებადა, დაწყებული ჩვენი დიდი ხოდაბუნადგან ამ უკანსკნელ სკამამდე, რომელზედაც ესჯა მე ვზივარ.

მაჭრობა (ტორგი) დანიშნული იყო. მამულის მოვაჭრენი, რასაკვირველია, მრავალნი გამოჩნდნენ და სხვათა შორის ტაბ—ძის მამაც.

ზრიგოლ დაუძღურდა, დღე და ღამ დედა-კაცივით ტიროდა და ვაჭრობის წინა დღეს ხომ კინალამ გაგიყდა.

„როგორ“ ღრიალებდა ის საშინლად: „ჩემი მამული, ჩემი ცხოვრება, სხვის ვალში უნდა გაიყდოს? ის მამული, რომელშიაც მამა-პაპის სისხლია ჩაქცეული, რომელიც ჩემის ოფლით შემუშავებულია, უნდა სხვამ დაინარჩუნოს. ოჰ, ეს შეუძლებელია და თუ ეს მოხდება, მე ვარჩევ ჩემისავე ხანჯლით ჩემს თავს ბოლო მოუღო.“

თუმცა მე ნუგეშს ვაძლევდი, ათასის გზით უადვილებდი მამავალ ცხოვრებას, მაგრამ რომ მამაგონდებოდა ჩემი ნინო, ჩემი ერთად ერთი შვილი, აზიზად და ფუფუნებით აღზდილი, გული მიკნესოდა და ენა მუცელში მივარდებოდა.

ნინო კი სულ ჩუმად იყო, შესწყდა იმისი იაღონის ხმა, იმისი ანგელოზებრივი ღიმილი; ფერ მიხდილი, გულ-ხელ დაკრეფილი ჩრდილივით შედიოდა-გადიოდა.

იმ დროს, როდესაც ჩვენს სასაწარმოო კეთილებას სამზღვარი აღარა ჰქოდა, როდესაც ჩვენმა მწუხარებამ გონების დაკარგვამდინ მიაღწია, საცალა შეხვედროდა ივ—ე ტაბ—ე ჩემ ნინოს. იმას საოცარის სისასტიკით აეწერა ის დღე, რომ-

დესაც მამულის მყიდველი გამოგვრეკდა ჩვენ ჩვენის ქერ-  
ქვეშიდგან და დიდებას შეჩვეულნი თავადნი, როგორ  
ულუკმა — პუროდ ცის ქვს საცოდავად დაერჩებო-  
დით.

ნინოს გულს შემოჰყოფდა, იმის დიდ სულოვანს ბუნე-  
ბას ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმი-  
სი საყვარელი დედ-მამის ულუკმა-პუროდ დარჩენა.

„ბრა, არა! მს შეუძლებელია,“ თურმე ტუტუნებდა და  
ხელგებს იმტერედა მწუხარებით.

— და თუ თქვენ თანხმა გახდებით ჩემ ცოლობაზედ, მე  
ხვალვე დაუბრუნებ თქვენს მშობლებს თავის მამულებს“ ამ  
დროს თურმე ჩასჩურჩულებდა ი—ე ნინოს.

— ბი, ბატონო, რითი გამოჰგლიჯა თანხმობა უბედურს  
შვილს, რომელსაც გონება ეკარგებოდა დედ-მამის მომავა-  
ლის უბედურის ცხოვრებით!

ამ ორი კვირის წინეთ, სწორედ ჩვენი მამულის „ტორ-  
გის“ წინა ღამეს, ნინო ჩვენ დაუკითხავად წავიდა. მთა-  
ში მარტო მე და ბრიგოლი ვისხედით, ძალზე ჩამოღამდა,  
მაგრამ ჩვენი გული ისე საესე იყო სიბნელით და შავბედო-  
ბით, რომ სანთლის ანთება სულ გადაგვაფიწყდა. თავს მე  
ვიჯექ გულ-ხელ დაკრფილი და ბოლოს ჩემი ქმარი... ჩვენ  
მწუხარებას მხოლოდ ის წარმოიდგენს, ვისაც ჩვენსავეთ გა-  
მოუტდია, თუ რა არის მამულის დაკარგვა, თუ რა არის იქი-  
დგან აყრა, სადაც ბედნიერი ყოფილხარ, სადაც მთელი შე-  
ნი შეილების ბედნიერებაა, სადაც მამა-პაპას უცხოვრია და  
სადაც იმედი გაქვს რომ სიკვდილის დღე მოგადგება.

შუკვბ კარი შემოვლო და ნინო შემოვიდა.

— მს რა ანბავია, რომ ბნელაში სხედხართ, დედა ჩე-  
მო, მითხრა და საჩქაროდ სანთელი აანთა. მერე  
მამას ხელი მოჰკიდა, ჩემთან დასვა და თითონ ნელა ჩვენ  
წინ მუხლებზედ დაეშვა, თავი კალთაში ჩაგვიდო და გადა-  
წყვეტით, რომელმაც ჩვენ დიდათ გაგვაკვირვა, წარმოსთქვა:—  
ნუ სწუხართ, მშობლებო, თქვენ სახლიდგან ვერავინ გაგ-

რეკთ, თქვენ ხოდაბუნებს სხვები ვერ მოხვენენ. ხვალ „ვაჭრობა“ აღარ მოხდება ჩვენს მამულებზედ.

მწუხარება ღონინად შეიცვალა, ბავშვებივით ახტაცებით ვხტოდით ერთმანერთს ვკოცნიდით, ვსტიროდით, და მხურვალედ ვლოცულობდით ჩვენის მხსნელისთვის, მაგრამ, როდესაც გამომსხნელის პირობები შეეიტყეთ, სევდა გაგვიათასდა

— როგორ?! ჩემი მოსვენებისათვის შენ უნდა გაგყილო, გულზედ ხელის ცემით ამოზდა ბრიგოლ, შენის გაცვლით მე ლუკმა უნდა ვიშოვნო? შენ უნდა მიქცე გლეხს დაბადებით, გლეხს სინიღისით, ღარიბს სათნოებით და მდიდარს სხვის უბედურებით? არა, დეე, მე შიმშილით მოვეკდე, სიბერის დროს გლახაკობა მეწეროს და ჩემს ნინოს, ჩემს ძვირფასს საუნჯეს, ყოველ სოფლიურ საუნჯეზე ძვირფასს საუნჯეს, ტაბ—ძეს არ მივცემ.

— მამა დამშვიდდი, არა ჩვეულებრივის სისასტიკით სთქვა ნინომ. მე სიტყვა მივე იმ კაცს ცოლობისა და. ტყუილად ნუ ღანძღავთ მომავალ საქმროს თქენის შევილისას, მწარის ღიმილით გაათავა იმან.

— არა, არა ეგ შეუძლებელია, დავიკვივლე მე. მოჯამაგირედ დავდგები, სხვას თავს ენაცვალე და შენ კი იმას არ მივცემ.

— ტყუილად სტირით, დედა ჩემო, საქმე გათავებულისა. ამ ორ კვირაზედ ჩვენ ჯვარს ვიწერთ და იმედი მაქვს მშობლის გულით დაჰლოცავთ თქვენს ნინოს...

— მოდიან, მოდიან აღშუოთებულის ხბით შემოიძახა გარედგან ბრიგოლმა და სანამ მე ყველა ნამბობს თვალწინ წარმოვიდგენდი, ოთახში შემოვიდნენ მეფე-დედოფალი თავისის ამალით.

ღედა შარბათით მიეგება. მამამ მაცხოვრის ხატით დალოცა. ნათესაობამ შამპანური ღვინით ბედნიერება მიულოცა. მეც მიველ მისალოცად, ნინოს მარმარილოსავეთ ცივს ხელს ტუჩები მივაკარ და ზუმად წავიდუდუნე: ნინო რას შერებით მაგას, განა შეგიძლიანთ ტვირთვა მაგ გვარის მსხვერპლის?

ნინომ ხელი მაგრა მომიჭირა, თავით ფეხებამდე ქრიან-ტელმა გაუარა და ჩეეულის სინაზით მითხრა: არჩევანი შეუძლებელი იყო. მეცდები შეეძლო და თუ არა, შენ კარგათ იყავ... გმირულად წელში გაიმართა და საშინელის ძალა დატანებით სახეზედ ღიმილი გამოიწვია და „ბედნიერების“ მილოცვას თითქის კმაყოფილებით ისმენდა.

\* \* \*

„ძმაო ზურაბ! მწერდა ზრიგოლ უხმარაძე ერთის წლის შემდეგ, ჩემი ნინო ავად არის. მშობლის გული ჰგონდება, რომ ჩემ ტურფა ყვავილს უდროოდ ზამთარმა უსწრო და ეს ვერ იტანს მის სასტიკ ყინვებს. ბუშინ იმან მითხრა მორცხობით: „მისწერე ზურაბს, რომ ნინომ თავის პირმშოს მონათელა გთხოვათქო“. იმედი მაქვს უარს არ იტყვიტ და მალე გნახავთ ჩვენ სასიამოვნო საყვარელ სენად.

მესამე დღეს საშინელის გულის ჩქროლვით მიუახლოვდა ტაბ—ძის ბინას. ეს იყო კარგათ გაგძელებული ერთ საბრთულიანი ქეიტკირის შენობა. მთელს სიგძეზედ ჩავლებული ჰქონდა განიერი აივანი სადაც ეხლა დიდი შესვლა-გასვლა და სამზადისი იყო.

ძარებში გამომეგება ნინოს დედამთილი. ეს იყო რალაც უზარ-მაზარი, გემივით ფართო და მატყლის ბარდანასავით რბილი, შავებით მოსილი დედა-კაცი.

„მობძანდი, ბატონო, ნათლიავ, მობძანდით. ძეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენ სახლში და შემდეგ წუწუნით დაუმატა: ნინო კარგად ვერ არის! საცოდავი ჩემი შანო, საშინლად შესცდა, რომ ამისთანა უღონო, სუსტი ქმნილება აირჩია ცოლად. რომ იცოდეთ რა ქალებს აძლევენ, რა მზითვიანებს! ლმერთმა კი დაიფაროს და რომ მოუკედეს, რალა ეშველება, ხომ მოგეხსენებათ საქმე, მეორეს ხომ ველარ შეირთავს.

— რას ბძანებთ მაგას, ზიზილით მიუგე მე. შანა ნინოს დაკარგვა ისე ადვილაა ქმრისათვის, რომ თქვენ კიდევ ფიქ-



რობთ მეორე ცოლზედ? შანა ვისაც ერთხელ ცოლად ხედრია ნინოსთანა, ის კიდევ იცოლებს ვისმე?

...ირეოდნენ ერთი ერმანეთში ჩემ აღშფოთებულ გონებაში, როდესაც მარტო დავრჩი სასტუმრო ოთახში. ბოლოს შემიყვანეს ნინოს ოთახში და იქ სუყველაფერს ფერი ეცვალა ჩემ თვალში: მე ვხედავდი მხოლოდ ნინოს, „დამქნარ ყვავილს გაზაფხულისას,“ როგორც მწერდა ბრიგოლ თავის მოკლე წერილში.

რა იყო ნინო ამ გაზაფხულს, როდესაც მე ის პირველად ვნახე და—რა იყო ეხლა?—სურნელოვანი ვარდის კოკორი, მოცინარის ელვარებით, სიცოცხლის ფილასავით საღსე სიტკბოებით, ნათელი სხივებით შემოსილი, როგორც თვით ბედნიერება მაშინ, და უდროოდ ზამთრის სუსხით დამქნარი იის ყვავილი-ეხლა. მარტოდ მარტო ნადელიანი გძელს წამწამებში გახვეული წაბლის ფერი თვალებილა მეჩვენა ძველ ნაცნობად; იმათ შემომცინეს ძველის მშვენიერებით და გული ამიესეს მწუხარებით და თვალნი მდულარებით. ნინო ბალიშზედ იყო მიყრდნობილი, ლამაზ ხუჭუჭ თმებზედ მცირეოდნად ჰქონდა თეთრი სპეტაკი ბაღდადი წამოხურული. ტანთ ეცვა თეთრი სპეტაკი-ვე ტანთ-საცმელი. იმან მეგობრულად გამომიწვდინა ყვითელი სანთელივით ჩამოსხმული პაწაწინა ხელები და ამ ხელებზედ ცხადად ამოვიკითხე მათი პატრონის ერთი წლის მწუხარება და შედეგი ამ მწუხარებისა—სასტიკი სიჭლეკის ბეჭედი.

— ნინო, თქვენ აგრე რად გამხდარხართ? შანა „პირმშო“ საკმარისად არ გაბედნიერებთ?

— ოჰ, დიდათ, ჩემო ბატონო, მაგრამ ეხლა გვიანლაა, ბედნიერება ველარ გამთელებს იმ იარას, რომელმაც ერთი წლის განმამაველობაში გაანადგურა ჩემი არსება და ჩააქრო ჩემი ოცნების ალები...

მე ვფიქრობდი, რომ ვიქნებოდი კეთილი მეუღლე, ტკბილი დედა ჩემის შეილებისა და ჩემს გაბედულობას ამითი ვანუგეშებდი. მაგრამ ნამდვილი ჩემის ახალი ცხოვრებისა მეტად სასტიკი გამოდგა ჩემს სუსტს ცხოვრებასთან საბრძოლვე-

ლად მოუმზადებელ ბუნებასთან. თქვენი სიტყვები ასრულდნენ: ტვირთი ფრიალ მძიმე იყო და მე ვერ ვზიდე.

მე ღრმად ჩაფიქრებული დაეცქეროდი ნინოს ხელებს, როდესაც ივანე შემოვიდა ნინოს ოთახში....

— ოო, ... ბატონო ზურაბ, დაიღრიალა იმან თავისის ახოვანის ხმით და დაარღვია ის ღრმა მდუმარება, რომლითაც სავსე იყო ჩემი და ნინოს მწუხარება. — ღიდათ გმადლობთ, დიდათ, რომ მიიღეთ ნინოს თხოვნა და ამ სიშორეზედ ინებეთ ჩვენთან მობძანება. მშვენიერია ბიჭია თქვენი მოზაველი ნათლული, მშვენიერი; მე და ჩემა ღმერთმა, არ დაიჯერებთ, რომ ამ გალეული დედაკაცის ნაშობია, ი დალოცვილი ისა; და ამ სიტყვებზე ნინოს ყბაში ხელი ამოსდო და კოცნა დაუპირა....

— იქით... საშინელის ზიზღით შეჰყვირა ნინომ და თითქოს გონ მიხდილი გადაეარდა ბალისშემაზედ

მე ფეხზედ წამოვხტი... სარკმლის ცივ მინას შუბლი მივაყუდე.

სტუმრები შეგროვდნენ. სამი ოთახი მთლად სავსე იყო ქალით და კაცით. ღუღუკი ღუღუნებდა, დაირა გრიალებდა. ცეკვა, სიმღერა გაჩაღებული იყო. ბავშვის მამა მეთაურობდა სუყოველგან. ამის ცეკვა, ამის სიმღერა, ამას ტოლუმბაშობა აკვირებდა და ახტაცებაში მოჰყავდა მოწვეულები.

— აფერუმ, აფერუმ, კიჟინით გაჰკიოდნენ დამთვრალი სტუმრები. აბა შენისთან მასპინძელი უნდა!

... ისკი... თვალეზ-გაწითლებული ივანე ხტოდა, ბუქნაობდა და თან საერთო კიჟინას თავის ბოხის ხმით ბანს აძლევდა.

გვ. გაბაშვილისა.

### ს ი ს ა წ უ ლ ე მ .

წვეული იეავ სისწულე!  
სულ ამოვარდი ძირითა!  
ჩვენთვის გაბვირდა ნუკეში,  
სიმღერის ნაცვლად ვსტირითა.

უწებლად ვპრობობთ დღე და ღამ  
ვიდრე მოგვივა ძილია,  
ძილში ისვენებს ხელ ფეხი  
მუდამ ტუპ კადანდილია.

ვიღვიპებთ საქმეს ხელს ვავლებთ,  
მუშისთვის შრომა ტკბილია,  
ვასხენებთ მამა უფალსა  
არ ხეგარდოს ზირია!

1881 წ.

ი. ჯ.

## ტემეზი დრამისათვის.

წერილი 1. (\*)

ჩემო თეოფილე! გაისხენე სიტყვანი ჭეინესანი, რომელი იტყვის: დედა-ჩემო, სელდები მეც ძალიან მიყვარან, მაგრამ მარტო იმათ კარგი გამოყვანა უნდათ. შენ ისრე ხარ გატაცებული დრამულისა და სცენურის ხელოვნებითა, რომ ოდონდ სტენა და დრამა ერქვას, ყველა მოგიყვანს აღტაცებაში და გიკვირს, რომ მეც შენსავეთ არა ვარ ცხარეთ გატაცებული ამ ხელოვნებითა, გიკვირს რატომ აღტაცებით არ ვკითხულობ აკაკის „კინტოს“, რაფაელის „ზარემასერისასს“, გლუსარინის „გეო, მინას და გამპანას“, მახაზლის „ორ ტრესდს-შუას;“ „მშვენიერს ელენეს“,

\* წერილის ავტორი ცნობილია ქართულ ლიტერატურაში. ყოველ ამის წერილი დაიბეჭდება შემოკლებლად და შეუსწორებლად. რედ.

„მწვანე კუნძულს,“ „მგალობელ ფრინველებს,“ „მასკენას,“ უმიგა-  
შკილის „მისსსს“ და სხვა ამისთანებს. იმის მაგიერათ, რომ  
იდეა შორის თავიანთს შექმნათ, შეჭურვილთა იარაღითა ბარა-  
ბისათა, და ჭეშუკნიდე უხამსი სიტუებით და საკუთარს კალაშოტ-  
ში გამოყვანილი ჭორებით მათ, ვინც არ მოდიან შენებრ ალტარე-  
ზაში ყოვლითა მით, რომლითაც დასტებების და განცხრების ბუ-  
ნება შენი,—აღმართო ნაწერთენი კალამი და დაწყო ბეჭდვით  
მტკიცება შედგომასა მათ წარმართთასა,—მაშინ ან მიიღებდი ზა-  
სუსს საფუძვლიანსა და ან უსაფუძვლობა მათი იქნებოდა საჭეუ-  
ნოდ დამტკიცებულ და სწავლ შენი ჭორული ხასიათის მაგიერ,  
მიიღებდა ხასიათის საფუძვლიანი სწავლასასა.

რადგან შენ ეგ არა ჭქენ და ადგეხარ ისევე გზასა მეჭორე-  
თასა და შირიქით თვითე ურთავ სელსა შენსა „მის ერთ-  
სა სელოვნებასა,“ რომელსა „ჭკვიანნი ვერ მისვდებიან“ და უგუ-  
ნურთათვის არიან სათაყვანო და სასულემძვანელა, ამის გამო ისევე  
მევე დაგიწობ ბეჭდვით მასლათს.

ხომ იცი, ჩემო თოფილე, რომ მე ესლანდელი ენა, ენა ლა-  
ქიურ-ბიურთკანტული ვერ შევისწავლე. ამისგამო, არც ვიცი ლაზა-  
რაკი კილოკავად. მე რომ მკითხო, არც საკადრისია ეგ ენა. რაც  
სათქმელია, უნდა ითქვას ცხადათ, რომ იცოდეს მკითხველმა, რა-  
საც ელანარაგება მწერალი. ის ენა, რომელიც ესლ თქვენ შეგიქ-  
ნიათ, რომ უერს საითკენაც გინდათ გამოაზამთ, ის ენა არის  
ზაიფუში, გონებისა და ზნეობის დამხნევი. ამისგამო, მე შირდა-  
შირ ვამბობ, რომ ის სელოვნება დრამისა და სტენისა, რომელსაც  
დასდგომიან ჩვენი ავტორნი და, მათის მოწყალებით, ჩვენი სტე-  
ნაც, არის ზნეობის გამურყენელი. მე ის მიმაჩნია ჩვენი გონებისა-  
თვის სწავლათა ონანისათა. წარმოიდგინე, თოფილე, რომ  
მე, ყაზაზ გეუას შეგიბდი, თუ ქარგალი, მთელი დღე, დი-  
ლის შვიდი საათიამდე დაწყობილი სადამის შვიდ საათამდის  
კადგივარ თავს გაბმულს ქსელს, გამაქვს და გამოამაქვს ჩემი მოუ-  
ლალაკი და უტყუთელი მაქო. თავს მადგია გეო და იმისი შვილი  
არტუა და ამის მეტი არა ისმის რა: ჩაჭბუჭე მაგრა, გაუგდე მა-  
ქო!.. გამოდინარ უქმე დღით, შედინარ ხალხში, რომ ეკება და-  
ვისკენო, ერთი ქრისტიანული სიტყვა გავიგონოვო. ერევი ხალხ-

ში და გესმის: ეჭვადღუნა რაღა ქესატობამ ქვეყანა, მუშტარი მკებრითაც აღარ მოიშოვება—თუმცა გი მუშტარი ყველას ბუნივით თავს ახვევია.—ან კიდევ გესმის: არუთინამ თავისი ცხოვრება ცოლს გადასცა, რომ მოვალეებს არ გაუსწორდეს; მივიტრუმ ისაკინმა ფულის მოსაჭრელი მასინა გამოაპარა ტამოყნას; სოლომონ სასარინმა სუთი თუმნის მამულში ათას თუმან მოგება ქქნა... ვერცარა სლეკუატელმა გაუგო, ვერც რა პოლიციამ. და ათასი ამისთანაუბი. გამოგია ცხოხებული შესხიდამაც და მორჭმული ჭავჭავაძისაგანაც, რომ თეატრი ჭკუისა და ზნეობის საზრდოაო. ჭიჭირობ: წავიდე ერთი თეატრში იქ მინც დაგვანასონ ჩვენი ცხოვრების საზიზღრობა, გვაჩვენონ გონებისა და ზნეობის გამომაფხიზლებული და აღმზრდელი მსატრობანი და მოქმედებანი. შედისარ სტენასედ. რას ქსედავ! ერთ ვილანას ჩაუგდია ღამაზი ქალი ხელში და რა სჯავლეძავს, რომ ღმერთმა შეარცხვინოს ჩვენი ღაზარ ჰეტროვიჩი, როცა ზენიჭკას ჩაიგდებს სოლქე ხელში. ი ქალიც ერთი ისრეთი სით-ხითებს, ერთი ისრეთი უსარინ, ერთი ისრეთი ესურტრუცება, რომ ღმერთმა შეარცხვინოს ჩვენი ქავლანბრელი ხარუნკა... ვნახოთ, სიმღერაც არის, ვნახოთ—ლეკურიცა!.. ჭიჭირობ: ეს ყველა კარგი! მაგრამ... ამას სომ... სხვაგანაც ვნახავ; ვა! ეს არის ჭკუის საქმე?! ეს არის დაცემული ზნეობისა და ჩვეულობების აღმდგენი საქმე?!.. არა, ღამაზი ქალის კონცა იქნება არ იყუეს უხნეო, მაგრამ განა მაგასაც სწავლა და ჩვენება უნდა?! ეგები... ჩვენ თქვენსედ ნაკლებთ ვიციით? იცი, ეგ რომელ ზნეობასა შეკლის? მაგის უკან, როგორც განსვენებულმა ზღატონ იოსელიანმა ბრძანა, უნდა მასინვე ჯიბეს გაიკარ ხელი, ჩაიდო სამ მანათიანი კბილებში და გასწიო... გუვიისკენ. განა ეს არის ზნეობა?! ეს არის ჭკუა?! ეს არის მიზანი დრამული ხელოვნობისა და სტენისა?!

რათ გვატყუებთ და გვარწმუნებთ, ვითომც ემსახურებოდეთ ჭკუას და ზნეობას?!.. ერთი მითხარი, ზოლას ნანა სტენასედ, რომ ევას სამოსლით დაინახო,—ზნეობის აღმდგენია? ის რომ უწვერ-ულვამო ბავშვს კვართ ქვეშ შეცხავს გასაშრობათ და ჩაიკრავს თავის ბამბის ქულასავით ფაფუკს გვერდში და მიეცემი ნეტარების დავიწყებასა—ეს ჭკუის საზრდოა?!..

რატომ გკონია, თეოფილეჯანი ყველას ეს ყაზაზ გეოს  
 შეგიბრდის მოსაზრებანი საუურადღებონი არიან თუ არა?.. სსკვას  
 რომ ყველას თავი დავანებოთ, განა ჩვენს დრო და თვალეპი და-  
 საფასეკელნი არ არიან?.. გატყუდი შენ სულს ქვეშ და სთქვი სწო-  
 რეთა, სენი სპერმოტორეისა, რომელიც შენ დაგმართვია, ბეკრში  
 სტენისა და შენი მოწონებული დრამებისა და შენივე ნაწერების ბრ-  
 ლი არ არის? განა ეგ სენი სასეირთა ან შენთვის ან კაცობრიობი-  
 სთვის?!. გარწმუნებ, რომ მედიცინა კაი მეცნიერებაა, და გირჩევ  
 იქაც ჩაიხედო სოღმე სშირად, მაშინ იქნება ჩაფიქრდე რადე-  
 ნათ სასარგებლოთა ის სელოენება, რომელსაც შენ ასრე გატაცებით  
 უკმეკ გუნდრუკსა... განა მართლა არ არის ტემები დრამისა და  
 სტენისათვის ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც ნანდვილად ემსახურე-  
 ბოდეს ჭკუისა და სხეობის წარმატებას?...  
 აბა ვნახოთ...

განდგვილი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთველზე.

(დასასრული.)

„მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა.“

მბრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ოთმა გამდრეკელო-  
 ბა.“ ამის მაგიერ უნდა იყოლო:

მბრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გამრეკელობა.“

ამ პირსვე დაუტყვევებია ის აზრი, რომ ამ მოხსე-  
 ნებათა გარდა რუსთველის ცხოვრება თვით „მეფის ტყა-  
 სანშივე“ აწერილი და ეს თვით ამ წიგნითგანვე აიხსნებაო.  
 ჩვენ ვშინჯეთ „მეფის ტყაოსანი“, ვშინჯავთ კიდევაც, და  
 თუ საღმე რამე აღმოჩნდა და გავარკვეით, ცალკე აღ-  
 ნიშნავთ და მალეც გამოვაქვეყნებთ. ამის შესამოწმებ-  
 ლად ისიც არის, რომ გამრეკელთა გვარი ძველადვე ახალ-  
 ციხის მახლობლად სახლებულან და ესენი ერთ დროს ამ  
 მხრის მთავრად და გამგედაც ყოფილან. ამის დასამტკიცე-

ბელი ცნობები თვით ვახუშტის და ვახტანგის ისტორიულს ქრონიკებშიც-კი მოიძებნება.

ეს ცნობა მხოლოდ მიტომ მოვიყვანე რომ იგი დღევანდლამდის არსებობს, თორემ რაც შეეხება ამის სინამდვილეს, ეს კი საეჭვოდ მიმაჩნია მე და ამ მოსაზრებას პირდაპირ არქიმანდრიტს ვაკუთვნებ. ამ გვარი მოსაზრება და მოგონება ამ არქიმანდრიტს თვის გვარ ტომობის სიყვარულსგან მოსვლია. არის კიდევ ერთნაირი შესამოწმებელი მხარე, რომელიც დაახლოვებით უკავშირდება გამალიელის ცნობებსა და ამიტომ ზემოხსენებული უკანასკნელი ცნობების შესამოწმებლად ესეც მოგვყავს აქვე.

მეფის-ტყაოსანში მოხსენებული „ათანდილი იყო სპასპეტი ძე ამირ სპასალარისა“ თუ იგავ-სიტყვაობით ავხსნით და ამაში მოხსენებულ ამირ სპასალარს რუსთველის მამად ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა ესეც ესთქვათ, რომ თამარ მეფის ისტორიაში მოხსენებულია გამოჩენილი ამირ სპასალარი ზამრეკელი, მაშასადამე ეს ზამრეკელი უნდა იყოს რუსთველის მამა. მაშ ამის მეოხებით ადვილად შეიძლება, რომ ეს გვარი დაახლოვებით შეუმოწმდეს რუსთველის გვარს რადგანაც „მეფის-ტყაოსანშიც“ ზამრეკელად არის აწერილი რუსთველიო, ანუ „ზამრეკელადაო.“

მეორე ნაირი ცნობა კიდევ.

მეთრამეტე საუკუნის მოგზაური, ტიმოთე ქართლი, მთავარ-ეპისკოპოსი სწერს, რომ შოთა რუსთველი თამარ მეფის მეჭურჭლეთ-უნუცესი იყო<sup>1)</sup>. ამ ეპისკოპოსის ცნობის თანხმადვე მოგვიტხოვრებს თეიმურაზ ბატონიშვილი<sup>2)</sup>. ამასვე აღიარებენ ბროსე, ჩუბინაშვილი და სხვანიც მრავალნი. ამ ცნობებს მღ. ჯანაშვილი-კი ეწინააღმდეგება და სწერს, რომ შოთა თამარ მეფის სპასპეტად იყო<sup>3)</sup> და შოთას მამა-

<sup>1)</sup> ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსის გამოცემა 1852 წ. ქ. ტფილისი.

<sup>2)</sup> საქართველოს ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, გამოცემა 1848 წ. პეტერბურ.

ამირ სპასალარიო. ჯანაშვილს ეს მოსაზრება „მეფხვის-ტყა-  
ოხნის ერთი სტრიქონითგან გამოჰყავს, სადაც მოხსენებუ-  
ლია, რომ:

„პეტანდილ იყო სპასპეტი ძე ამირ სპასალარისა.“

ამ სტრიქონს იგავ-სიტყვაობის მნიშვნელობას აძლე-  
ვენ. ამის სინამდვილეზე მე ვერას ვიტყვი და ის კი უნდა  
ვსთქვა, რომ ამ ცნობაზე უფრო სარწმუნო და ჭეშმარიტი  
ზე მოყვანილი ცნობები უნდა იყვნენ. ამის გამო ჩვენ მივ-  
მართეთ იმ საშუალებას, რომ გვეპოვნა, თუ **თამარ** მეფის  
დროს ვინ იყვნენ მეჭურჭლეთ-უხუცესად. ჩვენ ვიპოვეთ  
შემდეგი მოხსენება: „მეჭურჭლეთ-უხუცესი ძახა-ბერ მარდა-  
ნის-ძე.“ ეს მოხსენებულისა მახუშტის გეოგრაფიაში, მართლის-  
სხოვრებაში და სხვა-და-სხვა ისტორიულ წიგნებში. აქ ისიც  
უნდა შევნიშნათ, რომ ეს მარდანის-ძე **თამარის** პირველ  
მეფობის დროსვე მოგზაურობდა. ეს ჰსჩანს „მართლის სხოვ-  
რებიდგან,“ სადაც ამ გვარს დიდი ადგილი უკავია. ამ მარდა-  
ნის-ძის შემდეგ ჩვენ სხვა მეჭურჭლეთ-უხუცესს ველარა ვხე-  
დავთ. მაშასადამე შემოხსენებულ მეისტორიეთ ცნობების  
ჩვენებით **თამარის** მეფობაში მოხსენებული მეჭურჭლეთ-  
უხუცესი ძახა-ბერი მარდანის-ძე შოთა რუსთაველი უნდა იყოს.  
მაგრამ ამაზე ჩვენ ხელს არა ვდებთ და არას ვამტკიცებთ,  
რადგანაც მარდანის-ძეს შესახებ სულ სხვა ცნობები გვაქვს, და  
ჩვენ ეს პირი სულ სხვა წინააღმდეგ პირად მიგვაჩნია.

რუსთაველის გვარისა და სახელის შესახებ უფრო ჩვენს  
პირველ ცნობებს ვსთვლით ღირსეულადა, რომლებიც ზე-  
მოთ მოვიყვანეთ მაგრამ რაკი ერთხელ და სამუდამოდ ქარ-  
თველ ხალხს თავიანთ ნებისამებრ თავიანთ გონების წარ-  
მომადგენელი საყვარელი პოეტისთვის შოთა რუსთაველი  
უწოდებით, ამიტომ მეც ამასვე ვხმარობ და დღეს აშოთან  
პრთავაჩის-ძეს შოთა რუსთაველს ვუწოდებ. იმედია, რომ ეს  
წერილი და მოსაზრებანი მრავალთათვის იქმნება სასიამოვნო  
და თუ ჩემგან მოხსენებულს აშოთან პრთავაჩის-ძეს სხვა-  
ნაირად წარმოიდგენ, მაშინ რუსთაველის შესახებ ჩვენ ისევ



ის მასალები დაგვრჩებიან ხელში, რაც აქამდის გვეჭირა და რაც აქამდის ვიცოდით ამ საყურად-ღებო და გამოჩენილის პირის ცხოვრების და მწიგნობრობის შესახებ.

პირველ წერილში გაკვრით შევეხე იმ საგანს, თუ როგორ სდევნიდენ „მეფხვის-ტყაოსანს“ ჩვენი ქართველნი ბერნი და მამანი. ამ საგნის დასამტკიცებლად და დასაქმმარბიტებლად, ამ მოკლე ხანში აღმოჩნდა რამდენიმე ცნობა, რომლიდგანაც მომყავს აქ შემდეგი:

ძველად, ჩვენ წმინდა ბერ-მამებს დაუწერიათ „მეფხვის-ტყაოსნის“ გაგრძელება ლექსად, სწორედ იმ ლექსის ზომით, იმ კილოთი და ხელოვნებით, როგორც „მეფხვის-ტყაოსანია“ დაწერილი. ღამატების დაწერას ჩვენი წმინდა მამები თვით შოთასვე მიაწერენ და ამბობენ რომ, როცა შოთა რუსთაველი მონასტერში შევიდა და თავისი წინანდელი არსიყული ცხოვრება შეინანა, მაშინ თავის „მეფხვის-ტყაოსნის“ შესახებ დასწერა ესაო. ამ აღწერაში „მეფხვის-ტყაოსნის“ გმირები დაბერებულნი არიან; სახეები დაღმეკიათ, ღჯოლები გამოსჩენიათ და ყოველ ნაირი გულის მიმტაცი მშენებაც დაჰკარგვიათ, ყველა მათგანი დიდად სწუხს იმისთვის, რომ მათ მთელი თავიანთ ცხოვრება არსიყობითა და მიჯნურობით გაუტარებიათ. სიბერეში კი ესენი შესდგომიან სულის საქმეს და ყველა ამათგანი მუდამ ეკკლესიაში დადიან, სულ საღმთო საქმეზე ლაპარაკობენ, ხშირად აგონდებათ ჰრისტე, წმინდა ბერები, ნათელი სამოთხე, ანგელოზები, ჯოჯოხეთი და ეშმაკები. ამ ოცნებით თითქმის ყოველ მომქმედს პირს მოწამლული და მოხიბლული ჰქონდა გონება: აქ ყოველი პირის მისწრაფება და ძალა ზეციური ქვეყნის ცხოვრებაზე იყო მიქცეული და მხოლოდ ის ჰქონდათ სანატრელი, რომ სიკვდილის შემდეგ სამოთხე ღირსებოდათ.



## ს ი მ ლ ე რ ა

გულო, რას დაჭლონებულხარ,  
 რას იბურები ნისლითა?  
 განა სულ ესრე ვიქნებით  
 დაკრუნჩხვილები ეინფითა!  
 ჩქარა საფსული მოაღის,  
 აუოჯდებიან იანი,  
 გაიბანება წვიმიითა  
 მთა და მინდორი მტვრიანი,  
 საფლავის ქვაზედ მოჯდება  
 ოფოფა სავარცხლიანი.  
 წერონიც გადმოჩნდებიან,  
 დამამშვენენი ცისანი:  
 გუგულად მერცხალიც მოვლენ—  
 ჟრინველნი შორის-გზისანი.  
 დასადნობია დადნება  
 მთას თოვლი, სევში სვავია.  
 გამაიმტვრევა არაკვი  
 გასაფსულობით შავია,  
 მუქართ ანკრევს მიდამოს  
 გაბეზრებული, ავია.  
 მტკვარსაც ჩასძასებს მრისსანედ:  
 შენაც გაშალე მკლავია.  
 ცაც სომ სმას მოსცემს მადლითა

მიწის სიცოცხლით ფუილსა,  
 მოსქდება წვიმა სშირბადა,  
 დაბლა მახალებს მსუილსა;  
 ზედ დაეხვევა ელვაცა  
 შავის ღრუბლების სუილსა.  
 გულო, ჩვენც სიცოცხლეს ვიგრობნობთ  
 ლაღს მოვისურვებთ მღერასა.  
 ჩვენც შეუფერებთ კიყინით  
 ეოვლგნივ ბუნების ღხენასა.  
 იმედი ბეგრად სჯობია,  
 უაზრო ბედის წერასა!!

ვაჟა-ფშაველა.

## ზეა.

„ზმა“ ჰქვიან იმ გვარ სიტყვას, რომელიც მუსაიფში, ორი ფრაზითგან გამოიქანდაკება და შესდგება: პირველი ფრაზის ბოლოს მარცვლებიდან და მეორე ფრაზის პირველი მარცვლებიდან—შეერთებულად, მაგალითებრ, ავილოთ სიტყვა: „მამა“. ამის ზმა შეიძლება ასე გამოიხატოს: იამბ მას შენი სიკეთე.

ან ავილოთ სიტყვა: „დედა“. ამისი ზმაც ასე მოხერხდება: ადმ დუჟკარ თავი მშობელს.

ზოგჯერ ზმა გამოიხატება ერთს ფრაზაშიაც და ხანდის-ხან—სამშიაც. მაგალითად ავილოთ სიტყვები: ზმა, ნაცარი, ლიმონი, მარილი.

ამათი გამოიხატეული ზმები ასეც შეიძლება:

ბაზმა დაანთე  
იმანაც არ იცოდა.  
ქალი მონით მოდიოდა.  
თამარი ლიმონსა სჭრიდა.

მე არაფერი მოზმე გასლაეართ, მაგრამ ეს კი ვიცი რომ, უწინდელ დროში ზმობას, სიტყვა-წყლიანობას, დიდი პატივი ედვა და კარგი მოზმეები, შებაასებულნი საზოგადოებაში, მოსწრებულად გამოაპარებდნენ ერთი მეორეს, ზმას და ამით გამოიწვევდნენ მსმენელთ სიცილს და კიჟინს. მაშინ გამარჯვებული დიდად ამაყობდა ენამჭევრობით, მოსწრებულის ზმების თქმით.

ზოგიერთმა ძველ-დროში ნათქვამმა ზმებმა ჩვენამდინაც მოახწია.

პი ზმები, ამოწერილი ჩემგნით ერთის ძველის ხელთ ნაწერიტგან:

„მე ფვხთ განზანილთა მიმრ მკლჷსია ვადილო.“

„მე ფვხვთ შეგეხო სამოხ, იესო ლომო ნიეთობით იუდით მცენო.“

„ღეთისა მშობელმან წიალით მზარნა მუხ კეთილთა რტოდ მეც შემიწყნარნა.“

„სადბური მლიასი მიყვარს, მისი ხმა მიამების.“

დადინან იგერგელივ ვარსკელაენი ცისა, რა კი რომ მიდრკბ სინლი მზისა.“

„ღელთა მარილი ვარ.“

ამ გვარი ვარჯიშობა ზმებში მწერლებსა და ბატონის-შეილებშიაც ყოფილა. პი კიდენ ზმები, ნათქვამნი ლექსად, ყუმარზედ, მეფის თეიმურაზ მეორისაგან: განჯაფაზედ, ჭანდრაკზედ და ნარდზედ.

## I. განჯაფაზა \*).

„ამისგან ჯაფას ბევრს ენახე, ვინ მზესა დაედარების, ალალთა შიცსა არ ჰსჯერა, მას სხვა რა მოეგვარების,

\*) განჯაფაზა — თამაშობა ყოფილა ქალღუდისა; ეს სსათამაშო

ამაჲი ზილინხანის-თვის, უწყენს ვინც მოეხმარების, აბა რათ იწყენს ხუმრობას, თუ მე კი არ მემტერებიან?.. დიად ალ ჩადის ავადა, რად არ მომყვების მეოდა, კმა ლიზლობაში წამერთვა, შემომწყრა ჩემი მზეოდა, მომჩანვის წელში გაყრითა, დავსწყველე რიცხვი დღეოდა რათა ჯიჯინი გადამხდა, რად აღარ მახსენეოდა?... შუ მავინ ბალიშად ენახე, თავს ქვეშე დადებულები ეჰარა ჯიბეს მას ვარდი, ფიცხლავ ცხვირს მეცა სულელები, ათი შიალის ღვინის სმით ეშხმან შემიკრა გულელები, მარა შიხილბაშ ნამყოფი, გასინჯე ჩემი თქმულები. თმალის ბაია ხილვითა, ვერ გაუმართე მზესაო, იამ სუნნელი მიკმია, აღარ მომიდებს ცეცხლსაო, იმას ნაშირი დაეკრა ვიშუშპრო მუდამ დღესაო, არა ხარ ჯიქი, მე მაზა ლბილი ჩამიდევ ხელსაო, მიმართულ შიცხელს ჩემზედა, ისარსა თუ მკრავს გულსადა, ცხენისა ასალს უნაგრით შევადგამთ არაბულსადა,

ქალადი იყო ნახატი ზოგი კარტანის ფერფიტებზე, ზოგი — ძელებზე და შესდგებოდა რვა ხალისგან, (როგორც აწ არსებულ იხანქო — ოთხი ხალისგან არის შემდგარი). იმ ხალებს ერქვათ შემდეგი სახელები: 1, ყიზილი, 2, ბარათი, 3, ალაღჩა, 4, კმალი, 5, ჩანგი, 6, თაჯი, 7, ყუმაში, 8, ყარაჯი. — თითო ხალში, ანუ ვარაყში, იყო თორმეტი ქალადი, გარდა ყიზილის ვარაყისა, რომელშიაც იყო ცამეტი და ამ მეცამეტეს ერქო ალთაფი, ზედ იყო გამონატული მსკლამი და უფროსი იყო ყველა ქალადისა.

ქალადის ხალი, ანუ ვარაყი, გაიჩეოდა იმითი, რომ ზედ იყო დასატულები, რისაც სახელს წარმოადგენდა. ვთქვათ ბარათი. დაიწყებოდა ერთადგან (დასატული ერთი ბარათი) — ეს ერთიანი, მერმე-ორი, სამი და სხვა-ათიანამდის, შემდეგ — კვიზირი, რომელსაც ბარათი ეჭირა ხელში და ბოლოს — მიეყენ ბარათის ხალისა. — ამ გვარადვე სხვა ვარაყები. რაფ. კრ.

მზის მეტოქე მინდობილს მაგდებ, ღეთის მადლს რას  
 ეტყვი სჯულსადა?

ნაილაჯობა შენგნითა, ჩემი, წაგიწყმედს სულსადა!“

აქ უნდა შევნიშნო, რომ, რადგან დღეს „განჯათის“  
 თამაშობა დაეწიებულია და ამისი ბანქო ხმარებაში აღარ  
 არის, რასაკვირველია, ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი ზმები  
 და სიტყვები გაუგებლად დარჩება, რომლისამე მკითხველისა-  
 თვის. მაპირობ, თუ მოვახერხებ, ამ თამაშობის აღწერას და  
 აღდგენას. ჯერ, ეს საგანი, საშემდეგოდ რჩება.

## II. ჰადრაკი.

„ნიჰად რაპი-რუკი მესმა კართა ზედა კენჭის ცემით,  
 მამულები თაფი შენი, შემიბრალე ხმის გაცემით,  
 აქ სულა ზი, მრიდები კაცთა, სტირი გარდაცემით,  
 უაშინითი მოგცე თაფი, რომ გაგხეტქო თუნდა ცემით,  
 მომხმადარისს კაცის თვალმა შემიწყალა, დამართო ნება,  
 მტლი მქონდა მას დღეს კარგი, აღარ მჭირდა ცეცხლ-  
 თა დება,

აპე იპივლებს აღარა, არ უარობს, არცა სწყურება,  
 არ უხილავს თვალთა ჩემთა, მისებრივი ბრწყინვალება,  
 სისხლის რუ ძარვად დამწყვიტა აღარ მადინა თვალითა,  
 არ ძიშვად იყო ჩემზედა, იწოდა ჩემის ბრალითა,  
 თამაშა მათი მინდოდა, ნაჭიდებით და ძალითა,  
 შევაძო სიამოვნითა, ვისგანაც ვიწვი ალითა.“

## III. ნარღი.

„ხმა ნარ ნარ ღიას უხდების ბუღბუღსა ჭიკტიკობანი,  
 ია ძმბითა ვერ უდრის, წითელს ვარდზედ აქეს ბტობანი,  
 სად უყეფს, ნახეთ, მუდამად, ვისიც სჭირს მიჯნურობანი,  
 ასე ვეღება თავზედა, მისი არ უნდა გმობანი.  
 ჩარჩებულნი ყვაფილი კარგია, ნამიანია,  
 შანჯი შევახო ხელისა, სად იყოს ეკლიანია,  
 მაშე შიგ ჩაყყოფ მე ცხვირსა, უსუნებ ცრემლიანია,

რას მეტამათე ლიზლობით, შევიქენ სეველიანია.

კატაც იწამლეთ, ვინც იყოთ ჩემებრ მიჯნურნი ხელობით,  
გულს ჰპარით ვარდის კონები, უფრო არ გახდეთ ძნე-  
ლობით,

მას ეთამაშე ძარვ გვარად, მამაცურად და ქველობით,  
იძ ვიშ არ ითქმის, უარეთ მორევით, ვერცა მძლეობით.“

შგონებ რომ ამ გვარი მუსაიფი შმობით, არც ეხლა  
იუკადრისოხ სმენამ, თუ სხვა უკეთესი გასართობი საგანი  
არ აღმოუჩნდა როგორც მოზმეს, ისე იმისს მსმენელს.

თ. რაფიელ ერისთავი.

გაგოცანები.

(იმერეთში შეკრებილი.)

მე ერთი რამე მინახავს  
გათლილი წმინდა ქვისანი,  
გარძამო შამოსხედილი  
ოქრო, სპილენძი, რქისანი.  
ბერს-უმაწვილათ გადაქცევს,  
ბრძანება არის ღვთისანი—  
ახსენ, ბრძენო, რაც იცოდე,  
ამას არ უნდა მისანი.

რა არი! გვარი არა შობს,  
არც ოდეს გადაშენდების,  
რა სხვა-სხვა გვარსა მიუღკეს  
მით იშვეს-მითი შენდების,

რა ზომც ზატვი მიანურა,  
 მამა არ დაუშვენდების,  
 როს ვანიზდება მაშინა  
 ზურგი არ შეუსვენდების?

## ქართული თეატრი.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან კვირას, რვას თებერვალს წარმოდგენილი იყო ჩვენის უსაყვარლესის ზოკტის აკაკის ოთხ-მოქმედებისანი ისტორიული დრამატიული ზოკმა „თამარ-ცბიერი.“ ეს დრამატიული ზოკმა ესება XVIII საუკუნის დასაწყისს, როდესაც გიორგი მთავარი იმერეთში გამეფდა და ცდილობდა საქართველოს შინ-ახისისაგან დასხნას, მაგრამ მუსთაღმა ბედმა უმტუნა და თავისი მეუღლის თამარის წყალობით იმის ოცნებას ფრთა შეეკვეცა. სასო-წარკვეთილი საღსი ბარბაროსის სპარსელების მსხვერპლად გახდა და ზნე-დაცემულმა თამარმა თავის პირუტყვის ინსტიტუტის დასაკმაყოფილებლად აწარებელი საღსი ამოაყლეთინა მტრების მახვილს. გიორგი მეფე მხნე და მამაცი კაცი იყო, მაგრამ სუსტი ხასიათი ჰქონდა. ქმრის ხასიათის სისუსტით თამარი სარგებლობდა და თითისტარსავით ატრიალებდა მას. ამ გვარ თამარის საქციელს ყოველთვის უკუღმართი შედეგი ჰქონდა. თამარი მიჯნურობით ატარებდა დროს და მეფე მგერ კვირას სელში თავის მამისიბლავის გარეგანის შესედულობით, სამეფო კი თანდათან ძალასა ჰკარგავდა.

ამ დროს გამოდის ცსოგრების ასპარეზოედ მგოსანი-გოჩა, რომელიც ერძვის უკუღმართობას და ცდილობს აღადგინოს დაცემული სამშობლო. მგოსნის აწრით მიზევი ყოველივე უბე-



დურობისა, რომელიც საქართველოს ეწია, თამარია და ამისათვის ცდილობს იმის მოკვლასა... სიუვარულით გატაცებული თამარი დონისძიებას სმარობს გოჩას მახე დაუგოს და სიუვარულის მოჩვეულებით ჩაითრიოს, მაგრამ მგოსანი იმოდენად მტკიცე ხასიათებისაა, რომ იმის მოხიბლვას ვერას გზით ვერ ასერსებს გატაცებული თამარი; მგოსანს სრულიად სხვა საგნისთვის უნდოდა გული და სხვა საქმისათვის აუღერებს ჩანგს. თამარმა რადგანაც განზრახვა ვერ აისრულა ცილის დაწამებით ზოეტი სახატიძისგან ჩამოწვევდებოდა. წამებული მგოსანი ნეტარებით ისვენებს დიდს თამარს, რომლისთვისაც შოთამ ჩანგი აუღერა. როდესაც ყოველივე აშკარად ეხსიან და დედოფალს თავისი თავი მსხვერპლად მოაქვს: საწამლავით თავს ივლავს და მეფესთან უვანასკნელს მიტყუებს ითხოვს.

რამოდენად დასწლოებული იყვნენ ეს ტიპები ისტორიულს სინამდვილესთან, ამისა ჩვენ ვერ ვიტყვით, მხოლოდ არ შეგვიძლიან უეუზად-ღებო დავსტოვოთ ის მოვლენა, თუ რა რეალობად და სელაქურად არის გამოხატული ამ ისტორიულ დრამატიულის ზოემის მოქმედებითა ხასიათები. ღირიკულს მხარეს, ამ ზოემის უზირველესობა უჭირავს და კაცის სულზედ ჰარმონიულად მოქმედებს: გადაჭყავს ზეციურს, უსილავს ქვეყანაში და სრულს ნეტარების საგრძნობელით ავსებს კაცის დახარულს არსებას; ამ წუთს შინ კმაყოფილი ხარ შენის ბედისა და ბედნიერად გრძნობ შენს თავსა. რომელს მონოლოგს აიღებთ რომ ყოველსავე წინადადების წაკითხვის შემდეგ ტანში ყრუანტელმა არ გაგიბრინოთ, გაქმანი არ გაგიქაროთ. აი როგორ აქვს განვითარებული აკაკის ღირიკული მხარე. რაც ღექსთა წყობილებას შეესება, ხომ როგორც ეველა აკაკის ღექსები შეუდარებელია და ენა მსუბუქი.

დრამატიულს მხარეს თავისი საკუთარი კანონები აქვს. დრამის მწერალი არ უნდა გამოვიდეს ამ ჩარჩოდგანა, რადგანაც თუ დაცული არ არიან ეს კანონები, თხზულებას ძალა ეკარგება და ჯეროვანს შთაბეჭდილებას ვერ ასდებს მკითხველზედ. ჩვენი საუვარული ზოეტი აკაკიც ვერ ასდენია ამ სენს და

ზოგიერთს ადგილებში ნამდვილად კერ აზიან დაცულნი დრამა-ტიული მხარენი.

თამარი და მგოსანი ნამდვილად აზიან დასატულნი, მხოლოდ მეფეს ტიპი მკრთალად აზის გამოყვანილ: კაცს ვერ შეუტყობია მისი ხასიათი. ზოგტი ამ ტიპს კულისებში უფრო მეტს ამოქმედებს და აღაშარაკებს ვიდრე სტენასედ.

აგრეთვე ხელაგურად დასატულია ორი დარბაისელი: სახლო-ურუცესი და მსაჯულთ-ურუცესი. სუმარა ნათლად გვისატავს იმ ცნოკრებას, როდესაც ყველა მეფეს თანა-მსლებლად ჭყვანდათ მას-სარები კაქშნის გასაქარებლად. მისი როლი შემეუღია სხარტულის სიტუებით. ეს ჩვენ უქველი გვგონია, როგორც დრამა-ტიულის აგრეთვე ლირიკულის მხრითაც.

არტისტებმა საერთოდ ყველამ კარგათ შესარულეს თავისი როლი. განსაკუთრებით კარგათ ითამაშეს ქ—ბ. ანდრონიკა-შვილისამ—თამარის როლი და ბ. ალექსეევი-მესხიშვილმა მგოსნის როლი. ქ—ბ. ანდრონიკა-შვილისა შეუდარებელი იყო მეორე მოქმედებაში, როდესაც მგოსანს მოელოდა. ყოველს იმის სიტუვას თავისი შესაფერი სახის გამოშეტყველება მოსდევდა, რომელიც ჭარმონიულად მოქმედებდა მათურების სულზე. აგრეთვე რიგაინად დასატა ამავე მოქმედებაში ვნებათა დედა, როდესაც მგოსანს ესგევა, მაგრამ მისგან შეუწყნარებელი რჩება.

აქ უნდა შევნიშნოთ ის ადგილი, როდესაც მესამე მოქმედებაში მოსაკლავად მიდიან და იგებს იმათ განძრავას,—აქ სრულიად ვნა ჩაუვარდა და მრისხანების მაგიერ, სეჟნის კილოთი ამბობდა სიტუვებს. აგრეთვე სუსტი იყო მეოთხე მოქმედებაში—რალაც უგულთ გაატარა მთელი მეოთხე მოქმედება. დანარჩენი ადგილები კი ნამდვილად დასატა.

ბ. ალექს.—მესხიშვილმა რეალურად დაგვისატა ყოველივე მგოსანის სულის მოძრავანი; შესანიშნავად წარმოსთქვა მეორე მოქმედებაში ის დიდი მონოლოგი, როდესაც თამარ მიჯნორობის უარს უცხადებს, და თავის პირ-დაპირს დანიშნულებასედ ბასობს და სევედურს უცხადებს, რომ თამარის წყალობით სამშობლო იღუპება. აგრეთვე კარგი

იყო მეოთხე მოქმედებაში, როდესაც მეფეს საზღვრებილიდგან გამოჰყავს და უბრძანებს მიტოვება ითხოვოს. აღტაცებაში მოიყვანს საზოგადოება იმ ადგილმა, როდესაც მეფის წინ წარსულს ცნობრებას და თათბირობის სურათსა ხატავს: იმის გულიდგან გამოიხმოდა ტანჯვა,—მწუნარება, გულის გოდება, მამაცობა, ხან საშინელი სასო-წარვეთილება. ყოველივე ეს ნათლად იხატებოდა იმის სასეხედ, ყოველივე წუთს სხვა და სხვა გამოქვეყლება ჰქონდა. ყოველსავე ამას, რომ სკდ დავუმატოთ იმისი ძელოდიური სმა, მაშინ ხომ სრულად აკმაყოფილებდა საზოგადოების ესთეტიურს გრძობას. მას გარდა რომ მეფის ტაში ცოტა ბუნდით არის დასატული, არტისტებიც რაღაც უსერიოდ აჯაგლაგებდენ. არ ვიცი ვინ არის დამნაშავე, თუ არ ბ. რეჟისორი, რომ ამისთანა უმგზავს ტანისამოსს აცმევენ. ჩაეცმიათ ერთი რაღაც უსერიო ახალუსი, რომელსაც ტომარასავითა ჰქონდა ჩამოკიდებული ჭიბუკები. იქედია, რომ შემდეგ ბ. რეჟისორი ვეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას: მეფის ტანისამოსის მაგიერ სირაჟის ტანისამოსით აღარ გამოიყვანს სტენაზედ არტისტებს.

შეფიქრებ კარგს ვერას ვიტყვით. შეიქცა მარტო გვირგვინით და ყარყუმ-მოვლბულის პორფირით იცნობდა კანდი... გურულის მაგიერ ხომ ვიღაც ალია-თათარი იყო.

შეტყობურგში და სხვაგან სადმე რომ გვეხსნას ქართული დამასინჯებული ტანისამოსი, ყურადღებას არ მივაქცევდით, მაგრამ ქალაქში რომ კანცა გურულის ტანისამოსი ვერ იშოვნოს დიდი სირცხვილია. თეატრის გამვე კომიტეტისაგან მეტის მეტი კადნიერობაა საზოგადოების წინაშე, რომ ქართულს შედეგ დრამებსა რაღაც ტუპუჭებით ათამაშებს არტისტებს.

ჯანი.



## სახალხო ლექსები

ვნასე წუსელი სიზმარი  
 რაც რომ თავს გადამსდებოდა;  
 ამდენი მტრობა დალატი  
 ბოლომდინ არ შემრჩებოდა.

ვაგლახ ჩემ ბედის წერასა,  
 ველარსად მოვსწვდით ძელასა  
 შაჟთაზედ გდება სჯობია,  
 ცუდი მძობილის ეოლასა.

ვაი დედი ჩემის ღმერთსა  
 ხმა აგვირია ხეელამა,  
 ერთმანეთი შეკვამულა,  
 სსვა და სსვა მტერის ენამა;  
 ერთი წიწილა გაგვანდა  
 ისიც მოგვტაცა ძერამა,

რომელ კაცსა ცოლი-შვილი  
 ზურგს ბარკათ აგვიდება,  
 მტერს მტრობას ველარ შეამჩნევს—  
 მოუვარეს წაეკიდება.  
 ფეხს ველარსად მოიმაგრებს,  
 საქმეს ვერ მოეკიდება—  
 გასაჭირში ჩაჟარდება,  
 თავს ცეცხლი წაეკიდება.

## 'ზაზონილი კახეთში.

ორიოდ ჯამი დავლიე,  
 შესამე რაღას მიშლისა  
 ისევ ღვინის სმა ვირჩიე  
 ცუდად კდებას და სიმშვილსა.

\* \*

ორ-ღობე ჩამოვიარე,  
 მან ვიმტვრევედი ცსვირ-პირსა.  
 სოლომონი წინ შემომხვდა:  
 იქ მიეშველე სხვის შეილსა;  
 მიველ და კვერდზე მიუწექ  
 საბანი აღარ მიშლისა.

\* \*

სოდაშნიდამ წამოვიდნენ  
 ორი ქალი დიდებსა,  
 ქათმის სორცი მირჩეუნია  
 ხარის სორცის ჭიდებსა.

დაგაღა.

## თ ე ა ტ რ ი

(ქართული თეატრი)

კვირას, 8 თებერვალს, ქართულმა დრამატ. საზოგად. დასმა  
 გაიმეორა ჩვენის ნიჭიერის პოეტის აკაკის თსულება «თამარ-  
 ცბიერი.»

ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს კაცი, ძალიან სერსიანად უნდა  
 სმარობდეს კვლამს, რომ ღაასლოკებით მაინც გამოხატოს საზო-

გადოების აღტაცება, ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ პოემამ მოახდინა მაყურებლებზე. დარწმუნებულნი ვართ, რომ თბილისში საზოგადოება ძალიან, ძალიან იშვიათად დამტკბარა წარმოდგენით ისე, როგორც ხსენებულს ხელახლა.

ბ. აკაკი რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ სცენაზე და მთართვეს: მაყურებელმა საზოგადოებამ — ძვირფასი სამწერლო იარაღი, შეძღვრის ზედ წარწერით: „8 თებერვალს, 1887 წელს. საქართველოს სიამაყეს, პოეტს აკაკის, მცირედი სასოგარო—დიდის ზატივის ცემის ნიშნად“ — და ქართული თეატრის არტისტებმა — დაფინის გვირგვინი სელოვნურად შემკული. გვირგვინის რკალზე ზის გაზაფხულის მისარობელი — მერცხალი და თავისი ზაფია კლანჭებით უჭირავს მშვენიერი ქოლგა, რომლის ტარზედაც ჩამოკიდებულია საუცხოო საათი თვლებით მოჭვდილი.

### სომხური თეატრი.

9 თებერვალს სომხური დრამატული საზოგად. დასმა წარმოდგინა შექსპირის ტრაგედია „ოტელლო“. „ოტელლოს“ როლს ადამიანი თამაშობდა. ყოველი მოქმედების შემდეგ ტაშის კვრა და „ბრაგოს“ ძახილი ყურებს გვიჭვდავდა... მაგრამ თეატრის დაზნაზნი ნახევრადაც არ იყო დაჭერილი... ესეც კარგი ზიესა და გამოჩენილი არტისტი!

### თეატრი ამერიკაში.

ტყუილია ამერიკელებისთანა! ამერიკელები თავის ჭკუა-გონებას სულ იმაზე ავარჯიშებენ, რომ ახლად მოიგონონ რამე და ამით თუელი მოიგონ:

ქ. ნორვიჩის, კანექტუკეტის შტატებში, გამოჩენილმა აქტორმა «დელმარ» — მა და აქტორმა — ქალმა „უდამ“ — მა, სცენაზე, საზოგადოების დასწრებით, ჯვარი დაიწერეს. თუმცა აფიშები ქორწინების დღეს გააკრეს და ადგილებსაც ფასები მოუმატეს, მაგრამ მაინც თეატრის დაზნაზნი ხალხით აივსო.

ეს ჯვარის წერა იყო განონიერი: ქორწინების რიგი და წესი სრულიად იყვნენ დაცულნი. ჯვარის წერა გაათავეს და, ზატარა ან-

ტრაქტის შემდეგ, ზიკსას თამაში დაიწყო. შეუე დედოფალს  
 ეოველ გამოსვლაზე დიდის აღტაცებით ეგებებოდა საზოგადოება.

### სიმი თანაღმობისა.

И гдѣ-же тотъ,

Кто безъ гора проживеть! — ი. კოზლოვი.

ჩას დელავ სულო, შე ბოროტო, მოუსვენარო,  
 ჩისტის იმწარებ საწუთროსა, შე კკეით საწყალო?  
 საით გამიფთხი ძილო ჩემო, მწე-უჩინარო,  
 ფიქრის ზღვამ ღამეც დღეთ მიქცივა, მომხედ მკურნალო!

ჩემო სიცოცხლის ანგელოსო, შენ მაინც ჩრდილად  
 გარდამოველინე მადლ-მომფენო, მრავალ-წამებულს,  
 რა შეციურად მიმისვენებ შენს მკერდზე ტკბილად,  
 სამოთხის ლული მომიპარავს ანეტარებულს.

მხეცდება სევდა, ღმერთო ჩემო, რა მემართება:  
 შავის ნადველით სასოება იხიბლვის, ქრება,  
 გული დველფდება, სული იწვის, აზრი უფოთდება  
 და სჯა-მიმხდილი ხანა კედება, ხანა ცოფდება...

ჰოი სულ-მოკლე სულო ჩემო, ნუ ხარ ჯაბანი,  
 მუხთალ სოფელში კაცს ბერი რამ თავს გადაჰხდება,  
 გწამდეს: სიცოცხლე სიზმარია სიზმართაგანი,  
 ვაით შობილი ვაით ცხოვრობს, ვაითა კედება,

მოსკოვი.

დ. მაჩხანელი

# წ გ რ ი ლ მ ა ნ ი .

(ასალი ამბები \*)

ამ თთვის ცხრამეტს „ენზელის“ ნავთ სადგურში მობრძანდება მათი დიდებულება შახი სხარსეთისა. იმის მისაგებებლად თბილისიდან წაბრძანდება დადისტნის გუბერნატორი, ლენკრალ-ადიუტანტი თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე. ამას გაჭეუებიან: ბ. მთავარ მართებლის კონტელარის სეკრეტარი შაბა, ასუნდოვი და სარა-ჯოვი—იმავე კანცელარიაში მოსამსახურები.

\* \* \*

9 თებერვალს საქველ—მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ კნ. ე. ბ. შერემეტიევის მოთავეობით იყო გამართული ესრედ წოდებული „ჩითოსანთ ბალი“ (СИТЦЕВЫЙ БАЛЬ). იმადენს საღისი დაესწრო ამ ბალზე რომ „კრუეოკის“ ფართო დარბაზში ტევა აღარ იყო. ქალები იყვნენ მორთულნი ჩითის და სსკა იაფი ფასის ტანთ-საცმელით... ამ ბალმა დაგვიმტკიცა, რომ ჩითს შეუძლიან საკერდის, ფარჩის და სსკა ძვირფასი ტანთ-საცმელების ადგილი დაიჭიროს, თუ უგუნური მიბამვა არ უშლიდეთ ჩვენ «დამებს.»

ერთს ზალაში იყო «გამართული ჩვენებური დუქანი», სადაც ქალები ჭყიდდნენ დასანაურებელს („ზაკუსკეულობას“) და კანურ ღვინოს. თეატრის ზალაში იყო გამართული ფრანცუზული დუქანი, სადაც იაფად ჭყიდდნენ შამპანურ ღვინოს და სსკა სსმელებს; ზედ სტენაზე განათებულ სსკა-და-სსკა ფანრებით იაზონურად მორთული ქალები ჭყიდდნენ ხილს და ჩაის.

საზოგადოებამ ძალიან მსიარულად გაატარა დრო და თითქმის თენდებოდა რომ მუსიკის გრიალი შესწყდა დ საზოგადოება შინისკენ გაეშურა.



ლომები გალიაში. ბელგიაში ერთი საშინელი ამბავი მომხდარა. ყოველ დღე როცა იქაურ ციხეში წარმოდგენა გათავდებოდა სოლმე, ერთი ამერიკელი ქალი, სახელად ლენდა, შედიოდა დიდ გალიაში, სადაც დამწვევად იყო ექსი ლომი. ამ რამდენისამე კვირის წინად ერთმა ლომმა ცოტად უკბინა ქალსა, მაგრამ ქალმა ეს არათუ არაფერი და ლომების გალიაში მანც შედიოდა, თუმცა ამის შემდეგ უმათრანოდ შესვლას ვი ველარა ჭბუდავდა. აი ამ ბოლოს დროსაც შევიდა კიდევ ეს ქალი მათრანით. შესვლის უმაღლე ერთი ლომი მიჰკარდა საწყალს ქალსა მხარში, ამოგლიჯავს სორტი და ძვლიც თან ამოატანა. საწყალმა, სისხლში მორეულმა ქალმა ერთი საშინლად დაიკიულა და ძირს დაეცა, ლომი კი მიჰდა გალიის კუთხეში და ღრიალი მორთო. საცოდავი ქალი ძლივს ვაი-ვაგლასით წამოდგა, გამოვიდა გალიიდან და სთქვა: „არა მიშავს-არა,“ მაგრამ ისევ მალე დაეცა და გული შეუწუსდა. ექიმებს იმედი არა აქვთ ქალის მოწინისაო.

\* \* \*

ქალადის წაღები. უცნაურმა ამერიკელებმა ქალადის წაღებიც მოიგონეს. ამ ხანებში ერთს ქალადის მექანსეს გაუკეთების ქალადის წაღები და ვერაზაშიაც გამოუგზავნია გასასწვიდად. ქალადის წაღები საუცხოვო გამოდგარა. ამბობენ, რომ ეს წაღები უფრო მაგარია, გამძლეა და იათადაც ჭდება, ვიდრე ტყავისაო.

\* \* \*

ლონდონში ერთს 18-ი წლის ქალს დორალილითსა გაუგზავნია ერთის რედაქციისათვის ფელეტონი დასაბუჭდად. რედაქციას ქალის ნაწერი დაბეჭდვის ღირსად არ უგნია. ყმაწვილ-ქალს ეს ისე სწყენია, რომ მაშინათვე უუიღნია რეკლავერი და თავი მოუკლავს. თავის-მკვლელს დაუტოვებია ზარათი, სადაც ამბობს: „მე მსურდა სხვაზე მადლა კმდგარეიყავ, მე მჯეროდა, რომ დიდი ნიჭი მაქვს; ვცადე, მაგრამ ზირველდე ფერთები შემაკვირეს. მაშ რაღად მინდა სიტონსლე, თუ არა-რად ჩავითვლები!“

# ლ ე ქ ს ი

გ...თ...ს...

მიკიჟინებ სულის კუნესას,  
 რად დასტირი ძარად ბედსო  
 და არ გალობ ძველებურად  
 სულის ძალხენს ტკილსა სმებსო.

რა ვუო მხო, დრომ თავისი  
 მოითხოვა ჩემგანც მსხვერწლი,  
 დონე მაკლო, დაუძღურდი,  
 დაუძახუნდი მეც დაუბერდი.

მამ რაღა ვსთქვა, რით ვიმღერო,  
 ჩანგს ველარ სძრავს ჩემი სელი,  
 გული არ ფეთქს ძველებურად  
 აწ ძკუნესარე სიკვდილს ველი.

წარსრული დრო გულ საკლავად  
 მესატება თვალის წინა,  
 მაკონდება ის დროები,  
 როს აქ გვქონდა ერთად ბინა.

აქ ცელქობა ნებივრობა,  
 მკებთან ლხინი ჩანგსედ ჟღერა,  
 როს ბავშვობით გატაცებულს  
 არ მესმოდა რა არს წყენა.

ხუ მის ნაცვლად ზი რას ვჭვრეტ:  
 მშობელთ საულავს დავიწეებულს,  
 მათ ქვის ლოდებს გადმონგრეულს  
 და ავლდამებს გაციებულს.

კნ. ნინო ორბელიანისა.

## ბ ი ბ გ რ ა თ ი ა

(გუძღვნა აკაკი წერეთელს)

ვ მ ლ ტ მ რ ი

(გაგრძელება).

ღირს შესამჩნევია აგრეთვე მოლტერის ტრალედიები, რომელნიც საუბედუროდ ცრუ კლასიკური მიმართულებისა იყვნენ. საზოგადოდ დრამატიული ხელოვნება და თეატრი მე-XVIII საუკუნეში ისეთს მტკიცე ნიადაგზედ იდგა, რომ მისი დამხობა შეუძლებელი იყო. ასეთი ნიჭიერი და გენიოსი მწერლები, როგორც ძორნელი, რასინი, მოლლიერი ცრუ-კლასიკები იყვნენ და მოლტერიც ნება-უნებლიედ შეუერთდა მათს მიმართულებას. ცრუ-კლასიკები მთელს მაშინდელს განათლებულს ევროპას მოსწონდა და ყველა თეატრზედ მონაპოვლიური გავლენა ჰქონდათ. მაგრამ მოლტერმა მაინც თავისი პიროვნული ხასიათი და მიმართულება შეიტანა მაშინდელს სასცენო და დრამატიულ ხელოვნებაში. იგი თუმცა ცრუ-

კლასიკოსი იყო, მაგრამ მაინც სხვა დალი დასდო დრამატიულ მწერლობას.

მაშინდელს ძველს თეორიას სცენაზედ მხოლოდ დიკაობა და ღმერთები გამოჰყვანდა. ამას მოლტერმა ნიადაგი მოუსპო და თავის დრამების ფაბულად (არაკად) სულ სხვა-და-სხვა წოდების ხალხს და მღვდმარეობას იღებდა და უშიშრად ჰკიცხავდა ყოველ-გვარ ბოროტებას და უსამართლობას, ერთის სიტყვით, თეატრი მოლტერისათვის შეიქმნა საქადაგებელ ასპარეზად. ამის გარდა მოლტერმა ბევრად გააუმჯობესა სცენის ტექნიკური (გარეგნული) მხარე—დეკორატიული და სასცენო აქსესუარები რეალურ გზაზედ დააყენა. ბევრი ეხლანდელი სასცენო აქსესუარი ვოლტერისაგან არის შემოღებული.

მოლტერი როგორც კრიტიკოსი, თუმცა დიდს არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი კრიტიკული წერილები სიმახვილით და ჰკუის სიღრმით არიან აღჭურვილნი, მხოლოდ შექსპირის შესახებ მოლტერი მეტად დამნაშავე იყო და ეს აიხსნება განსაკუთრებით მისის კერპული ცრუ-კლასიკურის მიმართულებით. მოლტერს არ მოსწონს შექსპირის დრამები, ტრადედიები, მაგრამ იმავე დროს მოლტერის ტრადედიები სულ შექსპირის ტრადედიებიდან არიან გადმოკეთებულნი, თუმცა მაგ გვარი გადმოკეთებანი არამც თუ ცუდი და უხეირო პირია (კოპიო), არამედ მთლად დამახინჯებულიც კი. რაც ჩვენ დღეს შექსპირის თხზულებაში მოგვწონს და აღტაცებაში მოვდივართ, ის ყველაფერი მოლტერის თხზულებებში დაკარგულია... საზოგადოდ შექსპირი მე-XVIII საუკუნის ნახევრამდე სრულიად დაფიწყებული იყო მთელს ევროპაში და მის სამშობლოშიაც-ინგლისში. მაგრამ გამოვიდა თუ არა მწერლობის ასპარეზზედ გერმანიელი მწერალი ლესსინგი მაშინათვე შეუდგა ცრუ კლასიკების ტეორიის დარღვევას და იმავე დროს შექსპირის ამალგებას. ვოლტერის ტრადედიები ყოველთვის სასიამოვნო სანახავი იყო სცენაზედ, მაგალითად, მისი დრამები: ზანირა, ბრუტნი, კანარის სიკმ-

დლი, მაჰმადი, მშვენიერი ბავშვი, ნანინა და სხვანი დიდს ხანს იყვნენ საფრანგეთის სცენებზედ და ბევრს მაყურებლებს იწვევდნენ.

მოლტერი მძლავრი იყო სატირული წერილებით და მისი საქვეყნოდ გამოჩენილი სატირა „La pusele“ (ორღენის ქალწული) სწორედ შეუდარებელი და ერთ გენიალურ ნაწარმოებთაგანია. ეს „ქალწული“ არის კომიკური (სახუმარო) ეპოპეია, და როგორც ეპოპეია უნდა ყოფილიყო იდეალიზაციით შემკული, მაგრამ იდეალიზაციას ისე მოშორებულია, როგორც ცა დედამიწას. ამ „ქალწულში“ ისეთის ცხოველის ფერებით და სინათლით იხატება მაშინდელი მე-XVIII საუკუნის გარყენილობა და გახრწნილობა, რომ ოდნად მორცხვი მკითხველი ეხლანდელ დროში ვერცკი აღიღებს ამ წიგნს ხელში. მართლაც ამ „ქალწულისთანა“ ცინიკური ნაწარმოები ჯერ ევროპას არ უნახავს. ამ თხზულებაში მთლად გამოიხატა მოლტერის ნიჭი-გენიოსობა და მისი დროება თავისის სამარცხენო თავ-დაუჭერელი და შეუპოვარი გახრწნილობით. მოლტერი სწერდა აგრეთვე რომანებს და მისი რომანები ჩვეულებრივის დაცინვით არიან შემკულნი. მის რომანებთა შორის უფრო საყურადღებოა ორი რომანი: „კანდიდი“ და „სულელი“—განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რომელიც ისე ნათლად და დაწერილებით გვიხატავს მაშინდელს საფრანგეთს, რომ დღესაც სიამოვნებით წაიკითხება.

ბი რა ნაირად ხატავს ერთი კრიტიკოსი ორს მე-XVIII საუკუნის გამოჩენილს პირს: მოლტერს და რუსოს: „მოლტერი იყო თავი-ჰკუთა, რუსოსი—გული-გრძნობა. ორივეს ერთნაირად უყვარდათ კაცობრიობა: პირველს უყვარდა ჰკუთით, მეორეს კი გულით. მოლტერის იარაღი დაცინვაა, რუსოსი-გრძნობა. პირველი ყველაფერს ამხობს, ანგრევს და ამ შეუბრალებელ „ნგრევაში“ სიამოვნებას ჰპოვებს მისი მახვილი ჰკუთა, მეორე კი ცდილობს ალერსით, პატიოსნურობის, კეთილის საქმის გავრცელებით, სწავლით და ტკბილის გრძნობით ქვეყნიერება გააუმჯობესოს და ამ რბილ საშუალებებში იგი ჰპოვებს სიამოვნებას. მოლტერი თუმცა სდევნის გარყენილობას

და ცუდს ყოფა ქცევას, მაგრამ თვითონ კი არ არის მოკლებული ზოგიერთს შეცთომებს და ნაკლულეგანებას. სულ სხვა არის რუსსო. მს უარჰყოფს ყოველივე ამ სოფლიურ ფუფუნებას, შორდება ყოველს უწესოებას-ლარიზია და თითქმის შიმშილით ათაეებს თავის ბრწყინვალე სიცოცხლეს. მოლტერი კი თავის ფერნიაში მეფურად სცხოვრობს და უხვათ შეექცევა ყველაფერს იმას, რაც კი მოუცია-მისთვის სიცოცხლეს; თუმცა მათი სურვილები ერთი საგნისკენ მიესწრაფება, მაგრამ საერთო მიზნებს ისინი სხვა-და-სხვა გზით უახლოვდებიან. “მართლაც და მოლტერი და რუსსო დიდად განსხვავდებიან ერთმეორესაგან - მართლაც მოლტერმა რუსსო თავის სახლში მოაპატიჟა, მაგრამ რუსსომ არ მიიღო დაპატიჟება და ასე უპასუხა: „შენ სახლში ყოფნა და შენთან შექცევა ლაქს მოსცხობს ჩემს პატიოსნებას!“ რუსსო ნამდვილი იდეალისტი-პესნიმისტი იყო, მოლტერი კი თავის ღრობის შეილი-მატერიალისტი—ოპტიმისტი.

მოლტერმა დიდი განძი შესძინა საფრანგეთის ისტორიას და საზოგადოდ საისტორიო ფაქტების გამოკვლევას. მისი გამოჩენილი ისტორიული თხზულებანი: ძარლი მე-XII-ის ისტორია, ლიუდოფიკი მე-XIV-ს საუკუნე, ხალხნი და მათი ჩვეულება დიდი ძარლოსის შემდეგ, რუსეთის ისტორია პეტრე პირველის ღრობისა, პარიჟის პარლამენტის ისტორია, შილოსოფიის ისტორია, შილოსოფიური ლექსიკონი, ძრისტიანობის დაფუძნების ისტორია და სხვანი-საოცარის ზედ-მიწევნით, ისტორიულის ტაქტით არიან შეთხზულნი, ყველა მისი ისტორიული მონოგრაფიები სუმბუქად და გასაგებად არიან დაწერილნი და დღესაც სიამოვნებით იკათხება. მოლტერის ღირსება ისტორიოგრაფიაში გამოჩენილმა ისტორიკოსმა შლოსერმა უკვე დააფასა. აი სხვათა შორის რას ამბობს იგი: „თუმცა ჩვენი ღრობის კრიტიკა ყურადღებას არ აქცევს მოლტერის ისტორიოგრაფიებს, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს დიდი შეცდომაა და შეურაცხყოფა. მოლტერმა ბევრი ნათელი შეიტანა ისტორიულ ფაქტების გამორკვევაში; მან მომავალ ისტორიკოსებს გზა უჩვენა. მისი ღრმა და

მანვილი ჭკვა როგორც პოეტურ ნაწარმოებში, აგრეთვე ისტორიულ მწერლობაშიც ყოველთვის ცდილობდა სიმართლის გამოაშკარავებას“.

მოლტერის ისტორიული წერილები ადვილი საკითხავია და ადვილად შესაგნები. მისი ჩვეულებრივი მჭევრი ენა საოცარის სისწრაფით ანათებს ბნელს ისტორიულს ფაქტებს. აი კიდევ გამოჩენილი ბოკლის აზრი მოლტერის დეწლზედ: „მოლტერის ღირსება ისტორიულ მწერლობაში დაუფასებელია. მოლტერი გენიოსი იყო როგორც მწერლობაში, აგრეთვე ისტორიოგრაფიაში. მოლტერმა დაჰბადა და არა სხვამ თავისუფალი ვაჭრობის თეორია. ასეთი ჰუმანიური და რაციონალური პრინციპი თავისუფალ ვაჭრობაზედ სწორედ გენიალურია და გენიულური თავიდან გამოვიდა კაცობრიობის სასარგებლოდ“...

(გაგრძელება იქნება).

გაღიგო—ია.

შაბათს თოთხმეტს თებერვალს თბილისის რეალურ სასწავლებლის მოწაფეთაგან გამართული იყო სალიტერატურო დილა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თვით მოწაფეებმა. მეექვსე კლასის მოწაფემ ა. შალამქაროვმა წაიკითხა ა. პუშკინის მოკლე ბიოგრაფია და იმისი თხზულებების მნიშვნელობაზედ. ბ. შალამქაროვი ენებოდა იმ ეფოქას, როდესაც პუშკინი პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ და შემდეგ გადავიდა იმ სამწუხარო შემთხვევაზედ, რომელმაც ბოლო მოუღო ამ გამოჩენილს რუსეთის პოეტს.

ბ. ბურჩიელმა განაოცებიდგან გამოიყვანა საზოგადოება არტისტიული ლექსების წაკითხვით. იშვიათი მოვლენაა ამ ხნის ყმაწვილისაგან ასე დარბაისლურად ლექსების კითხვა.

ბ. სტაფრაკოვმა ნეკრასოვის ლექსი წაიკითხა. ეს ყმაწვილიც როგორც ეტყობოდა, ჩინებულად ყოფილა გავარჯიშებული კითხვაში.

ზოგიერთმა ყმაწვილებმა სკრიპკაზე დაუკრეს და კარგი შთაბეჭდილება იქონიეს საზოგადოებაზედ. აგრეთვე არ იყო

დასაწუნი ხორო, რომელიც ორმოცის იმავე სასწავლებლის მოწაფეთაგან იყო შემდგარი. სასწავლებლის ფართო დარბაზი მშენებრად იყო მორთული. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა.

### „თეატრი“—ს რედაქციისაგან

მეექვსე ნუმერი თავის დროსე არ გამოვიდა, რადგანაც ვეველიერის უკანასკნელ დღეებში ასეთ ამწუობთ აღარ იმუშავეს და ამისათვის მეექვსე და მეშვიდე ნუმერი ერთად იბეჭდება.

\* \* \* უმორჩილესად ვთხოვთ ბ.ბ. ხელის მომწერელთათვის დღის განმავლობაში ნომრის გამოსვლის შედეგად, შეგვატეობინონ ხოლმე, ვინც ნუმერს თავის დროსე არ მიიღებს.

დღეს, 22 თებერვალს ბ. აღნიაშვილის ქართული ხორო გაჰმართავს სრულიად ახალ კონცერტს. ამ კონცერტში მიიღებს მონაწილებას ძალუბრის ხოროც.

### თ ე ა ტ რ ი ს თ ე ა ს ტ ა.

- ◆ ოდესა.—სემ...—მალრამეს უგზავნით გაზეთს.
- ◆ ნ. ლ.—„ივერიას“ და „ცისკარს“—არ დაიბეჭდება.
- ◆ მ. გრუ...ღოს.—მივიღეთ. გცდილობთ. არ ვიცით „ჰო“ თუ „არა“
- ◆ ოზურ... თი. ი.—ჭე... შემოსაცანი?
- ◆ ქუთ. გრ. ივ. გვ...სიანს, თქვენი ლექსები ჩვენთვის არ გადამოუციათ.
- ◆ ვლად. მ. ყ. გამოგზავნეთ. რაც შეიძლება, დიდის სიამოვნებით...
- ◆ მ. ლ. კიდევ... იქნება ის გამოდგეს!

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე